ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 25 ივლისი, 2023 №144 (9180) ფასი: 80 თეთრი

პოლონეთში საქართველოს 25 წლის მოქალაქე დააკავეს

გვ.5

გვ.3

ზურაბ ჯაფარიძის ცემისთვის ბრალდებული გირაოთი გაათავისუფლეს

„ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობაში პირველი მოლაპარაკე თავი გახდება“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებას“ დღეს ორი მთავარი მოკავშირე ჰყავს, ეს არის სიღარიბე და ნაციონალური მოძრაობა. რაც უფრო მეტი ღარიბი ადამიანი ეყოლება, მით მეტ ადამიანს იყიდის“

„ოცნება“ თავს აწონებს რუსეთს და გამალებით ებრძვის უკრაინას. ფრიადზე ასრულებს მის დავალებას. უკრაინის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ უკრაინა დაიბრუნებს ყირიმს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ ჩამოშლა

გვ.3

„ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების ბალიშია“

დავით ჭიჭინაძე: „ხაბეიშვილი ვაშაძის ხელქვეითი იყო, ორივე ერთად კი პაატა ბურჭულაძის ბლოკში იყვნენ, მერე ეს ბლოკი მიატოვეს და ამ ხალხზე საუბრობენ, რომ გამარჯვების ფორმულა არიან?!“

ოკუპირებულ აფხაზეთში უკმაყოფილება ღვივდება

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსთვის ხორვატიის გამოცდილების გაზიარება, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი ზაგრებში საქართველოს საელჩოს გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრო

გვ.4

გვ.3

გიორგი მარგველაშვილი: „მხიარული კომენტარია, რომ მე გავხდი მეჭრთამე და ფულის ამღები“

გვ.5

კვიპროსზე დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე

გვ.7

თად მაკფადენი: ქართველი ვარ!

1993230720223

2 მიხეილ სააკაშვილი: „სოფო ჯაფარიძეს ვთხოვე, გახდეს ჩემი წარმომადგენელი შინ თუ გარეთ — ვიდრე ვარ რუსული რეჟიმის ბუნკერში“

4 ლევან ხაბეიშვილი: რუსული პარტია რომ არ გვაძლევს პრეზიდენტ სააკაშვილთან შესვლის უფლებას, ეს ჩემი ბრალია?

5 27 მამაკაცზე გათხოვილი ქალი გაიქცა და მათი ფულებიც გაიყოლა

6 პუტინს ფსიქიკა მთლად მოეშალა

„ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობაში პირველი მოლაპარაკე თავი გახდება“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართულ ოცნებას“ დღეს ორი მთავარი მოკავშირე ჰყავს, ეს არის სიღარიბე და ნაციონალური მოძრაობა. რაც უფრო მეტი ღარიბი ადამიანი ეყოლება, მით მეტ ადამიანს იყიდის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

— ბატონო პაატა, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით? თქვენთვისაც ცნობილია, რომ გასული კვირის ბოლოს ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ქორწინება ვიხილეთ. „გამარჯვების ფორმულა“ — ასე ეწოდა მათ შერწყმას. ბევრი შეფასება მოვისმინეთ და ძირითადად ნეგატიური. როგორია თქვენი შეფასებები? რას მოუტანს ეს ერთობა ერთ ან მეორე მხარეს?

— ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე მხარემ მოიგო. თუმცა, ეს არ დაეტყობა ნაციონალური მოძრაობის ხმების ზრდას. მე კვლავ ჩემს პოზიციაზე დავრჩები, რომ ნაცმოძრაობა შავი ხვრელია და ვინც არ უნდა შევიდეს, ამით ნაცმოძრაობას არაფერი მოემატება, თუმცა, დააკლდება იმას, ვინც შევა.

— თუკი ასეა, ვაშაძე როგორ დარჩა მოგებული?

— ეს ის შემთხვევაა, როცა ამ ნაბიჯით ვაშაძემ გადაირჩინა თავი. ის ვერ მოხვდებოდა პარლამენტში, რომ არ გადაედგა ეს ნაბიჯი.

— ანუ მიზანი ესაა მხოლოდ, რომ შევიდეს პარლამენტში?

— რა თქმა უნდა. თუ გამარჯვების პლატფორმაზეა ლაპარაკი, კი ბატონო, ეს არის ვაშაძის გამარჯვების პლატფორმა! ის მოაჯდა ამ პლატფორმას და უკვე შევიდა პარლამენტში. იმიტომ, რომ ნაცმოძრაობა ნამდვილად გადალახავს 5%-ს და ვაშაძე აუცილებლად იქნება პირველ ხუთეულში. ამ პარტიაში ახლა ის იქნება მოლაპარაკე თავი. ჩვენ ვნახავთ, როგორ აჯობებს ვაშაძე ლევან ხაბეიშვილს რიტორიკით, პოზიციონირებით.

— ანუ ვაშაძე პირს მობანს ნაცმოძრაობას და პიარს გაუკეთებს?

— ცალსახად ასე იქნება. პირს მობანს და უფრო მკაფიოს გახდის. ხაბეიშვილს არ აღმოაჩნდა რიტორიკის უნარი. ერთადერთი, რაც კარგად დაიზეპირა, ეს არის „რუსული ოცნება“, სხვას ვერაფერს ამბობს. ამიტომ ვაშაძე გახდება პირველი მოლაპარაკე თავი ნაციონალურ მოძრაობაში. ასე ვთქვათ, ნაცმოძრაობამ შეიძინა კარგი პროპაგანდისტი და ამით მისცა გარანტია ვაშაძეს, რომ სულ ცოტა ორი-სამი ადამიანი მისი პარტიიდან მოხვდება პარლამენტში. აი, სულ ესაა მთელი ფილოსოფია.

— ანუ მერაბიშვილთან და კეზერაშვილთან დალაგდა ვაშაძე?

— დალაგდებოდა. მერაბიშვილი და კეზერაშვილიც ხომ კარგად ხვდებიან, ვერ ქაჩავს ხაბეიშვილი. აშკარად პარტიის დისკრედიტაციას ახდენს. შესაძლოა, ის ხმებიც დაკარგოს, რა ხმებიც შეიძლება ჰქონოდა ნაციონალურ მოძრაობას. ასევე, არანაირი დათმობა არ მიდის ნიკა მელიასთან. ამ ფონზე მე არ გამოვრიცხავ, ნიკა მელიას წამოსვლა ნაცმოძრაობიდან იყოს გარდაუვალი. ეს ძალიან დაარტყამს პარტიის რეპუტაციას. ამას კეზერაშვილიც ხვდება და მერაბიშვილიც, თუმცა, თუ არ დააკმაყოფილეს მელიას სია, ის აუცილებლად წამოვა. მელიას სულ ცოტა 7-8 კაცი ეყოლება, ვაშაძეს 3-4, ახლა თავის ხალხი ეყოლება მერაბიშვილს და თავისი — კეზერაშვილს. ყველას გამსვლელ სიაში ყოფნა უნდა, ეს პარტია კი ამდენს ვერ აიტანს.

მელია თუ წავა ცალკე, ის გარანტირებულ 5%-ს აიღებს და ხმებს წაართმევს ნაცმოძრაობას. ნაცმოძრაობის ლიდერები ხედავენ, რომ მელიას ვერ აკმაყოფილებენ მისი ამბიციების გამო, სამაგიეროდ, აკმაყოფილებენ გიორგი ვაშაძეს. ამიტომ წინა ფონზე წამოწიეს ნაკლებად ამბიციური ვაშაძის სურვილები.

— ვაშაძის პრემიერობის კანდიდატურაზე რას იტყვით?

— რატომაც არა?! თუკი ღარიბაშვილია პრემიერი, რატომ არ შეიძლება იყოს ვაშაძე?! იმდენი პრემიერი ვნახეთ ჩვენ, უმრავლესობის გვარებიც კი აღარ მახსოვს. მე არ მგონია, რომ ვაშაძე სხვაზე ნაკლები პრემიერი იყოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ის პრემიერი ვერ გახდება. ნაცმოძრაობა იმდენ ხმებს ვერ აიღებს, რომ თვითონ დააკომპლექტოს მთავრობა. ეს გამორიცხულია.

— ამ ფონზე ვისმენთ გიორგი გახარიასა და მისი პარტიის წევრების განცხადებებს, რომ არავისთან ალიანსსა და გაერთიანებას არ აპირებენ. რამდენად სწორი განცხადებაა? ამბიციები შეცდომას ხომ არ დააშვებინებს მათ?

— მას თავის გათვლები აქვს. როგორც კი გახარია გამოეყო „ოცნებას“, სწორედ თქვენთან ვთქვი პირველად, რომ გახარია 9%-ს აიღებდა ადგილობრივ არჩევნებში და აიღო კიდეც. ალბათ გახარიას გათვლები უკავშირდება ამ 9%-ს. მას ჰგონია, რომ გაიმეორებს ამ 9%-ს და აქედან გამომდინარე, თვლის, რომ არ სჭირდება სხვა პარტიებთან გაერთიანება. მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ. ამასობაში, „ლელო“ გაძლიერდა, მისი რეპუტაცია შეიმოსა ხელახლა. გახარიას პასიურობამ შეასუსტა მისი პარტია და ისევ გადაანაწილა ხმები „ლელოსკენ“. გახარიასგან ხალხი ელოდა მესამე ძალას, არა ნაცებს, არა ქოცებს! ამიტომ ჰქონდა თავიდან ამხელა მხარდაჭერა.

„ოცნება“ თავს აწონებს რუსეთს და გამალებით ებრძვის უკრაინას. ფრიადზე ასრულებს მის დავალებას. უკრაინის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ უკრაინა დაიბრუნებს ყირიმს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ ჩამოშლა

თუმცა, ვერ გაამართლა ეს იმედი.

— ანუ, ახლა, შესაძლოა, გახარიას 5%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდეს?

— კი, სრულიად შესაძლებელია. „ლელოსაც“ ჰყავს კარგი მოლაპარაკე თავები, ამიტომ გათანაბრებისკენ წავიდა „ლელოსა“ და გახარიას ხმები. ყველაზე ცუდი რაც იქნება, არ გამოვრიცხავ, ორივე პარტიამ აიღოს 3-4% და ვერ გადალახოს 5%.

— ამის გათვლა არ შეუძლია გახარიას? რატომ რისკავს?

— არ ვიცი. სამწუხაროდ, მე ასე ვხედავ და როგორც წესი, იშვიათად ვცდები ხოლმე. მე იმის მეშინია, რომ ხმები გადანაწილდება. „ლელო“ წაიღებს გახარიას ხმებს და საბოლოო ჯამში, ვერცერთი ვერ გადალახავს 5%-ს. ან უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე გადალახავს. ძალიან დიდ პატივს ვცემ, მიმაჩნია, რომ გახარიას ცალსახად დამოუკიდებელი პოლიტიკა გააჩნია, მე მეშინია, რომ ისინი თავის ხმებს ვერ გაუფრთხილდებიან და სამწუხაროდ, თავის ხმებს ჩააბარებენ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. ვინაიდან, როგორც იცით, ვინც ვერ გადალახავს 5%-ს, მათი ხმები ნაწილდება გამსვლელი პარტიების ხმებზე. ამით კიდევ უფრო გამდიდრდებიან „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა, უნდა თუ არა ეს გახარიას.

— სულ იყო საუბარი მესამე ცენტრზე, თუმცა, დღევანდელი მოცემულობით, მივდივართ ისევ ორპოლუსიანობისკენ. გამოსავალი თუ არსებობს ამ სიტუაციაში? რას იზამენ დანარჩენები? განიხილებოდა „ოცნებიდან“ წამოსულების ალიანსიც. როგორი მოცემულობა გვექნება და რაში ხედავთ გამოსავალს?

— აშკარად ხდება ის, რომ „ქართული ოცნება“ არავითარ შემთხვევაში დაუშვებს 5%-ის დაწევას. შესაბამისად, ყველა წვრილფეხა პარტიები, რომლებიც დღეს არიან პოლიტიკურ ბაზარზე, დარჩებიან გარეთ და მართლაც დარჩება ორპოლუსიანი პარლამენტი. ვივარაუდოთ ისიც, რომ შესაძლოა 6% აიღოს კიდევ ერთმა პარტიამ — ან გახარიამ ან „ლელომ“. უფრო გახარიამ. ამით დასრულდება ეს ყველაფერი და მხოლოდ სამი პარტია მოხვდება პარლამენტში, რაც ძალიან უნდა „ქართულ ოცნებას“. „ოცნებას“ უნდა, რომ მხოლოდ ნაცმოძრაობა ჰყავდეს მეტოქედ. იქცეს შავ ხვრელად და შეჭამოს დანარჩენი პარტიების ხმები. იმდენი პარტიაა დღეს საქართველოში, ვისაც უნდა, რომ პარლამენტში მოხვდეს, მათგან სულ თავისუფლად შეიძლება სამი-ოთხი ცენტრის შექმნა.

— თუმცა, ამ განცხადებით ყველა გზა მოჭრა გახარიამ. რატომ გააკეთეს ასე?

— ალბათ, დარწმუნებულია თავის თავში. ღმერთმა გაუმარჯოს. თუ აღმოჩნდებიან, რომ მართლები არიან, მაგას რა ჯობია. პირველი ვიქნები, ვინც ვაღიარებ, რომ ყოჩაღ, კარგი გათვლები ჰქონდათ. თუმცა, მათი წარმატება იქნება მინიმალური. ხოლო თუ ერთიანდებიან და მსხვილდებიან, წარმატება იქნება მაქსიმალური. ღმერთმა ქნას და მარტო თუ აიღებენ 5-6%-ს, გაერთიანების შემთხვევაში აიღებენ 10-11%-ს. ეს წარმატება კი ძალიან ეფექტური იქნება. ეფექტური წარმატებით კი გავლენას მოახდენენ მთავრობის მუშაობასა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე. თორემ დღესაც გვყავს ჩვენ ოპოზიციური პარტიები, მაგრამ გავლენას ვერ ახდენენ. ის კი არა, ამ საცოდავმა ოპოზიციამ თავისი კომისიაც კი ვერ შექმნა. კონსტიტუციური უფლებაც კი ვერ გამოიყენა, იმდენად სუსტი ოპოზიციაა. მე მეშინია, რომ შემდეგი პარლამენტიც ასეთივე სუსტი იქნება.

— თავის მხრივ რას ცდილობს „ქართული ოცნება“? კანდიდატის სტატუსის ჩაგდება რამდენად შეუყენებს წყალს მის ხელისუფლებას?

— „ქართულ ოცნებას“ დღეს ორი მთავარი მოკავშირე ჰყავს, ეს არის სიღარიბე და ნაციონალური მოძრაობა. რაც უფრო მეტი ღარიბი ადამიანი ეყოლება, მით მეტ ადამიანს იყიდის. ნაცმოძრაობა რაც უფრო დაანგრევს ოპოზიციას, მეტს ილაპარაკებს ერთობაზე, მით უფრო გააძლიერებს „ქართული ოცნების“ ნარატივს, რომ აი, ნაცმოძრაობა ბრუნდება. მართალია, ეს საცოდავები არსად ბრუნდებიან, თავისი გაჭირვებიათ, მაგრამ აძლიერებენ „ოცნების“ ნარატივს. მტერს რაც შეეხება, დღეს „ოცნებას“ ერთი რეალური მტერი ჰყავს და ეს არის უკრაინა.

„ოცნება“ თავს აწონებს რუსეთს და გამალებით ებრძვის უკრაინას. ფრიადზე ასრულებენ მათ დავალებას. უკრაინის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ ოქტომბრამდე უკრაინამ ვერ დადო ხელშესახები გამარჯვება, ვერ დაიბრუნა ყირიმი, „ოცნებამ“, შესაძლოა, საკონსტიტუციო უმრავლესობითაც გაიმარჯვოს. თუ უკრაინა დაიბრუნებს ყირიმს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ ჩამოშლა.

მიხეილ სააკაშვილი: „სოფო ჯაფარიძეს ვთხოვე, გახდეს ჩემი წარმომადგენელი შინ თუ გარეთ — ვიდრე ვარ რუსული რეჟიმის ტყვეობაში“

— სოფო ჯაფარიძის მეშვეობით მომაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და სოფოც მუდმივად გამომიგზავნის თავის ანალიზს. ასევე, ვთხოვე, პერიოდულად იქამდე, სანამ ვარ რუსული რეჟიმის ტყვეობაში და არ მაქვს საზოგადოებასთან სრულფასოვანი კომუნიკაციის შესაძლებლობა, პირადად ჩემი განცხადებები მან გაავრცელოს, — ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტი სოციალურ ქსელში წერს.

მისივე თქმით, სოფო ჯაფარიძეს საზოგადოების დიდი ნდობა აქვს.

— ვთხოვე სოფო ჯაფარიძეს, ბევრ სხვა სასარგებლო საქმესთან ერთად, გახდეს ჩემი წარმომადგენელი შინ თუ გარეთ. ასევე მაქსიმალურად გვერდში დამიდგეს ჩემთვის და ქვეყნისთვის ძალიან რთულ დროს, ეს არ ანაცვლებს პარტიის რაიმე ფუნქციას (თუმცა, სოფო პარტიის აქტიური ლიდერია საკრებულოში).

არსებობს ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხი, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ან არ ეხებოდეს პოლიტიკას. სოფოსთან ვთანამშრომლობთ უკვე მრავალი წელია. ის არის უნიჭიერესი და აქვს საზოგადოების დიდი ნდობა. მიხარია, რომ დათანხმდა.

სოფოს მეშვეობით მომაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და სოფოც მუდმივად გამომიგზავნის თავის ანალიზს. ასევე, ვთხოვე, პერიოდულად, იქამდე, სანამ ვარ რუსული რეჟიმის ტყვეობაში და არ მაქვს საზოგადოებასთან სრულფასოვანი კომუნიკაციის შესაძლებლობა, პირადად ჩემი განცხადებები მან გაავრცელოს, — წერს სააკაშვილი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების ბალიშია“

დავით ჭიჭინაძე: „ხაბეიშვილი ვაშაძის ხელქვეითი იყო, ორივე ერთად კი პაატა ბურჭულაძის ბლოკში იყვნენ, მერე ეს ბლოკი მიატოვეს და ამ ხალხზე საუბრობენ, რომ გამარჯვების ფორმულა არიან?!“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ეკა ბესელია იდეით გამოდის, რომ წინასაარჩევნოდ „ოცნების“ ყოფილმა წევრებმა წინასაარჩევნო ალიანსი შექმნან, რომ ამომრჩეველს მხოლოდ არჩევანი „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრობას შორის არ ჰქონდეს. თქვენ როგორ უყურებთ ამ იდეას?

– ყველას აქვს თავისი აზრი და ამ აზრის გამოთქმის უფლებაც. ბესელია იქნება თუ სხვა, გაერთიანება კარგია, რადგან ამომრჩეველს მეტი შანსი ექნება, მრავალფეროვანი არჩევანი გააკეთოს. თუმცა, ორი არჩევანი ვერანაირად ვერ იქნება, რადგან ამ ქვეყნის ამომრჩევლის 65 პროცენტი არც „ოცნებას“ უჭერს მხარს და არც ნაციონალურ მოძრაობას.

– ფიქრობთ, წინასაარჩევნო გაერთიანება უფრო მეტი იქნება?

– რა თქმა უნდა.

– თქვენ იქნებით ასეთ ერთობაში თუ დამოუკიდებლად გახვალთ?

– ჩვენ, ამ ეტაპზე, კონსულტაციები არავისთან გვაქვს, ბევრი ჩვენთან შემოვიდა და გაერთიანდა. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია თანამდებობების გადანაწილება და ამაზე საუბარი ახლა. ერთმანეთთან კინკლაობამდე და რაღაცების გაყოფამდე რომ დაიყვანეს პოლიტიკა, იმიტომაც გვაქვს კარგად საქმე. თუ მიზანი ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი არ არის, მაშინ ეს არ იქნება არც პოლიტიკა და არც ქვეყნის მომავალზე ფიქრი, ამას სხვა რაღაც ჰქვია.

ქართველ ხალხშია პოტენციალი და არა ვითომ პოლიტიკოსებში, რომლებსაც, როგორც ირკვევა, საერთოდ არ ადარდებთ ამ ხალხის ბედი, ამ ქვეყნის მომავალი. სახელმწიფოებრივი აზროვნება გაქრა. ნამდვილი პოლიტიკოსებიც გაქრნენ.

– ნაციონალური მოძრაობისა და გიორგი ვაშაძის გაერთიანება რამდენად შეიძლება იყოს „გამარჯვების პლატფორმა“?

– სერიოზულად კითხულობთ?! როგორ შეიძლება იქ იყოს გამარჯვების ფორმულა, სადაც პირდაპირ ჩანს, რომ ადამიანები დაკვეთას ასრულებენ.

– ვის დაკვეთას?

– „ქართული ოცნების“. ეს ორი პარტია ერთმანეთს ასაზრდოებს, ერთმანეთით გააქვთ თავი. ეს ხომ არ არის ძნელი მისახვედრი?! რომელ ოპოზიციურ ფლანგზე საუბრობთ, ეს არის ოპოზიციური ფლანგი, დღემდე „ოცნების“ ნარატივით მოქმედებენ?!

ხაბეიშვილი ვაშაძის ხელქვეითი იყო, ორივე ერთად კი პაატა ბურჭულაძის ბლოკში იყვნენ, მერე ეს ბლოკი მიატოვეს და ამ ხალხზე საუბრობენ, რომ გამარჯვების ფორმულა არიან?! თუ სიმართლე გინდათ, ეს არის „ქართული ოცნების“ მორიგ ჯერზე გამარჯვების ფორმულა. „ოცნება“ ძერწავს ამ ერთობებს. ნაციონალური მოძრაობა და ეს ხალხი „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების ბალიშები არიან. როგორ შეიძლება, მიხეილ სააკაშვილი იყოს ამ ქვეყნის მომავალი და ხვალინდელი დღე.

– „ქართული ოცნება“?

– „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე ერთად ამ ქვეყნის წარსულია. მათ უნდა დავემშვიდობოთ.

– ხელისუფლების ამოცანაა, რომ მთელი ოპოზიციური ფლანგი ნაციონალურ მოძრობასთან ერთად ერთ ქვაბში მოხარშოს?

– რა თქმა უნდა! ეს არის მიზანი. მერე მარტივად იტყვიან, ოპოზიცია არის ნაციონალური მოძრაობა, მათ დაბრუნებას ისევ ჩვენ ვიქნებით. როგორც აქამდე იყო, ყველა არჩევნების წინ, ისევ იგივეს ცდილობენ.

– გამოუვათ?

– შეუძლებელია. როგორც გითხარით, ძალიან ლოიალური სოციოლოგიური კვლევებითაც კი 65 პროცენტი ორივეს უარს ეუბნება, ეს ხალხი სხვას ირჩევს. მართალია, არჩევანის სიმწირე გვაქვს, მაგრამ ორი პოლუსი უბრალოდ არ არსებობს. მე სულ სხვა ორი პოლუსი ვიცი. ამ მიმართულებით უნდა გავძლიერდეთ. ხალხის დაკვეთის შესრულების მიმართულებით უნდა გავძლიერდეთ და არა ბანკების დაკვეთის. რომელ ევროპაზეა საუბარი, როდესაც ბანკები ბობოქრობენ, როდესაც სესხი ვერ აუღია ადამიანს. თუ ბიზნესი ვერ იქნება, რა სახელმწიფოს მომავალზეა საუბრი. ევროპა არის იაფი ფული. იაფი ფულით შენდება ევროპული სახელმწიფოები და არა ბანკების დიქტატით. ამაზე უნდა ფიქრობდნენ პოლიტიკოსები და მოსახლეობის ამ დაკვეთაზე უნდა მუშაობდნენ.

გიორგი მარგველაშვილი: „მხიარული კომენტარია, რომ მე გავხდი მექრთამე და ფულის ამღები“

– როდესაც იწყება ბინძური ტყუილი და დეზინფორმაცია, ამაზე სიღრმისეული და სერიოზული კომენტარის გაკეთება ჩემს მიზანს არ წარმოადგენს – მხიარული კომენტარია ის, რომ თუ გადაწყვიტეს, რომ მე გავხდი მექრთამე და ფულის ამღები, პრინციპულად შეურაცხყოფილი ვარ ამ პატარა თანხით – 11.500 დოლარით, ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია, – ამის შესახებ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

აღნიშნულით ის ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

– ორი კომენტარი მაქვს. ერთი, როდესაც იწყება ბინძური ტყუილი და დეზინფორმაცია, ამაზე სერიოზული და სიღრმისეული კომენტარის გაკეთება ჩემს მიზანს არ წარმოადგენს. მხიარული კომენტარია, თუ გადაწყვიტეს, რომ მე გავხდი მექრთამე და ფულის ამღები, პრინციპულად შეურაცხყოფილი ვარ ამ პატარა თანხით – 11.500 დოლარით, ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია. ერთადერთი, რაც ემოციურად შემეხო ამ პროცესში, თანხის სიმცირე იყო, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის დოკუმენტების მიხედვით, ერთ-ერთ აქტივობაში, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილიც იყო ჩართული, მედიაკომპანიამ მიხეილ სააკაშვილის სახელით 12.000 დოლარამდე თანხა მიიღო.

კერძოდ, ნათქვამია, რომ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში, სადაც საუბარია მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, აღნიშნულია პიარ მედიაკომპანია Cision PR Newswire-ის საქმიანობის შესახებაც.

მედიის ინფორმაციით, ირკვევა, რომ აღნიშნულ მედიაკომპანიას ევალებოდა, გაევრცელებინა პრესრელიზები კონკრეტული შინაარსით, რომლის მიზანიც შემდეგ ამ ინფორმაციის საერთაშორისო მედიებში მოხვედრა იყო.

– დოკუმენტის მიხედვით, ერთ-ერთ პრესრელიზში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ „საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი – გიორგი მარგველაშვილი უძღვება კოალიციას, რომლის ძალისხმევაც ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენაა“. ამისთვის, მიხეილ სააკაშვილის სახელით კომპანიამ 12 ათას დოლარამდე მიიღო“, – აღნიშნულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსთვის ხორვატიის გამოცდილების გაზიარება, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ქალაქ ზაგრებში შეხვდა.

მთავრობის სასახლეში დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ანდრეი პლენკოვიჩს ჯერ პირისპირ, შემდეგ კი, გაფართოებულ ფორმატში შეხვდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ანდრეი პლენკოვიჩთან შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრა საქართველოს მიერ ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეყანა წლის ბოლოს დამსახურებულად ელოდება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ამასთან, პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთვის ხორვატიის გამოცდილების გაზიარება, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პრემიერმა კოლეგას მადლობა გადაუხადა ხორვატიის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ასევე ევროპული და ევროატლანიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის.

ხაზი გაესვა აგრეთვე ხორვატიაში საქართველოს საელჩოს გახსნის მნიშვნელობას, რაც ორი ქვეყნის 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის პროცესში გამორჩეულად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, საქართველო და ხორვატია იზიარებენ ისტორიულ, კულტურულ და ევროპულ ფასეულობებს.

– საქართველო დიდად აფასებს ხორვატიის მხარდაჭერას ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლინობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ტვიტერზე“ წერს.

მიმდინარე წლის დეკემბერში ველით სამართლიან გადაწყვეტილებას, სტრატეგიულ, ვიტყოდი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ევროპიდან, რომელიც ჩვენი კანდიდატობის სტატუსს ეხება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ზაგრებში, ხორვატიის პრემიერ-მინისტრთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილება და დამსახურებული აღიარება იქნება ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული რეფორმებისა და პოზიტიური ტრანსფორმაციისა.

– ბოლო წლებში საქართველომ შესანიშნავ შედეგებს მიაღწია კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის საქმეში და ვხედავთ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებას.

იდეალური თავისუფლება განაპირობებდა საქართველოს სურვილს, გაწევრიანებულიყო ევროკავშირში, და ჩვენ ამ ეროვნულ მიზანთან ახლა უფრო ახლოს ვართ, ვიდრე როდესმე ვყოფილვართ.

ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, ის მიღწევებია, რაც ჩვენი მთავრობის დიდმა ძალისხმევამ მოიტანა. გასულ წელს ევროპულმა საბჭომ – ევროკავშირის ლიდერებმა – გადაწყვეტილება მიიღეს და საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარეს, რითაც უპრეცედენტო მუხტი შეიქმნა ევროპული ინტეგრაციის გზაზე, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, წელს ხორვატია და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ, რაც ამ ვიზიტს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

– ასევე, მინდა ვახსენო, რამდენად ვაფასებთ ხორვატიის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ისევე, როგორც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი. ამ გზაზე თქვენი შემდგომი აქტიური მხარდაჭერისა და ძლიერი ადვოკატირების იმედი გვაქვს.

განსაკუთრებით მადლობელი ვარ პრემიერ-მინისტრ პლენკოვიჩის ამ მტკიცე მხარდაჭერისთვის ევროატლანტიკური მისწრაფების გზაზე.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ისტორიული, კულტურული და ტერიტორიული

გაგრძელება მე-5 გვერდზე

2023, 25 ივლისი, №144

ოკუპირებულ აფხაზეთში უკმაყოფილება ღვივდება

საზოგადოება და პოლიტიკოსები ბჟანიას კიდევ ერთ განცხადებას აპროტესტებენ

მარიამ მჭედლიშვილი



ოკუპირებულ აფხაზეთში მოვლენები ისე ვითარდება, რომ მოსალოდნელია უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის დაკანონება. ამისათვის ნიადაგს ამზადებს კანონპროექტი „აპარტ-ოტელებისა და აპარტამენტების შესახებ". ის დე ფაქტო პრეზიდენტის, ბჟანიას მეთაურობით მომზადდა და აფხაზეთის პარლამენტში მისივე ინიციატივით შევიდა. არ არის გამორიცხული, რომ სახალხო კრებამ პროექტი კანონად აქციოს.

ოკუპირებულ აფხაზეთში მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება უკანონო და სარისკოა. მიუხედავად ამისა, საოკუპაციო რეჟიმი არ ერიდება ანექსიისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმას.

საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უძარვი ქონების გასხვისებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ხსენებული პროექტით უცხოელებისთვის დადგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შეზღუდვა უქმდება. გამონაკლისს შეადგენენ პირები, რომლებიც აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" წინააღმდეგ იბრძოდნენ.

აფხაზეთის სახალხო კრების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კომიტეტის სხდომაზე ათიოდე დღის წინ გაიმართა გაფართოებული მსჯელობა საკითხზე. შენიშვნები გამოთქვეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. ზოგმა პოლიტიკოსმა პროცესზე მკაცრი კონტროლი მოითხოვა, ზოგმა – აპარტამენტების მშენებლობისათვის დაწესებული კვოტის დაწევა.

განხილვამდე ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი მაქსიმ რეშეტნიკოვი, რომელმაც მოინახულა „მოსკვა-რეზორტის" მშენებარე გიგანტური კომპლექსი გაგრის რაიონში.

აფხაზეთის საზოგადოებაში მიიჩნევენ, რომ აპარტამენტებზე კანონმდებლობის მიღების შემდეგ აფხაზეთში გაჩნდება ანკლავები, (რუსების ანკლავები), სადაც აფხაზს ფეხს არ შეადგმევინებენ.

საზოგადოებაში პროტესტის ახალი ტალღა ააგორა დეფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას ტყვარჩელში გაკეთებულმა განცხადებამ მიწის გასხვისების შესახებ.

– მიწით, რომელიც აფხაზეთის ხალხს ეკუთვნის, ისარგებლებენ ისინი, ვინც იცის სარგებლობა და იცის მისგან სარგებლის მიღება, – განაცხადა ბჟანიამ.

ბჟანიას სიტყვები „შოკისმომგვრელად" შეაფასა პარტია „აფხაზეთის ერთიანობის ფრონტმა". ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ვითარების დაძაბვა დააანონსა. განცხადება შეიცავს უკანონო ტერმინოლოგიას.

– მთელი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვასა და მის შედეგებზე ეკისრება სახელმწიფოს მეთაურსა და მის გუნდს, – ნათქვამია განცხადებაში.

ავტორების აზრით, ბჟანია პერიოდულად ეჭვის ქვეშ აყენებს ეროვნულ ინტერესებს.

თემაზე „ეხო კავკაზა" ესაუბრა აქტივისტს ასტამურ კაკალიას.

ასტამურ კაკალია:

– ბჟანიას ეს გამონათქვამი არაფერს ცვლის. ამ განცხადებაში არაფერია კონკრეტული.

– თქვენ რა აზრებს გიჩენთ ეს ფრაზა?

– არანაირ აზრებს არ მიჩენს. ეს უბრალოდ ლამაზი ფრაზაა და მეტი არაფერი.

– ცოტა ხნის წინ დაიწყეთ მიწის დამუშავება და დაკავდით შინაური ნატურალური მეურნეობით. აფხაზური კანონების თანახმად, მიწის გაყიდვა არ შეიძლება. რას ფიქრობთ ამაზე როგორც ადამიანი, რომელიც მიწაზე მუშაობს?

– კანონებში ჩაწერილი გვაქვს, თითქოს მიწა არ იყიდება. ჩაიხედეთ განცხადებების განყოფილებებში და ნახავთ, რომ იქ არის განცხადებები მიწის, ნაკვეთების გაყიდვაზე. მიმდინარეობს საზოგადოებრივი მიწების გასხვისება. ეს ათწლეულების განმავლობაში გრძელდება. ასხვისებენ იმ მიწებს, რომლებზეც განთავსებულია სანატორიუმები და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. აცხადებენ, რომ ამ მიწებს პირობითად ერთ რუბლად გადასცემენ გარკვეულ პირებს და ა.შ.

გამონათქვამი, რომ მიწა არ იყიდება, სინამდვილეში არ არის აზრით დატვირთული. ის მანამდე იქნება უშინაარსო, სანამ მიწას რეალურად არ მიაკუთვნებენ მოქალაქეებს.

ფრაზა იმის თაობაზე, რომ მიწა არ იყიდება, მოსახერხებელი შირმაა. ეს არის ხერხი იმისათვის, რომ ჩინოსნებმა თავიანთ ახლობლებს აჩუქონ აქტივები, მიწის ნაკვეთები, სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, ფაბრიკები და ქარხნები მიმდებარე ტერიტორიებით, მოახდინონ მათი გადაფორმება, გადმოფორმება და ინვესტორებისთვის გადაცემა.

– როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

– ახლანდელი ხელისუფლება გვთავაზობს არეულ-დარეულ, გაუგებარ და უაზრო კანონს აპარტამენტების შესახებ. ეს კანონი (პროექტი) არ მოსწონს საზოგადოებას. სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება ვერცერთი კანონი, რომლის დეტალების გახმაურება არ შეიძლება. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი ჩავარდა.

აფხაზეთში არსებობს სხვა რადიკალური პოზიციაც. ეს არის მისი გადაქცევა რაღაც რეზერვაციად, სადაც უნდა შენარჩუნდეს თვითმყოფადობა, ენა და კულტურა.

გაუგებარია, ერთმანეთს როგორ შეუშლის ხელს ენისა და ტრადიციების დაცვა იმას, რომ ჩვენი გლეხები და ქალაქების მაცხოვრებლები იქნებიან მიწის მესაკუთრეები? მიმაჩნია, რომ ეს ერთმანეთს ხელს არ შეუშლის.

არც ის ვარგა, რომ გარე სამყაროს მოვწყდეთ და არც ის, რომ ყველაფერი „ბლატებით" გასხვისდეს. ორივე თვალსაზრისი მავნებლურია. მიწა ჩვენს მოქალაქეებს უნდა მივცეთ. ასევე ნაკვეთები უნდა გადაეცეთ რეპატრიანტებს.

ბლინკენი: „უკრაინამ რუსეთის მიერ თავდაპირველად მიტაცებული ტერიტორიის 50% დაიბრუნა"

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ უკრაინამ დაიბრუნა რუსეთის მიერ თავდაპირველად ოკუპირებული ტერიტორიის ნახევარი და ახლა გადის „ძალიან რთულ ბრძოლას" სხვა ტერიტორიების დასაბრუნებლად.

– თავდაპირველად დაკავებული ტერიტორიების დაახლოებით 50% უკვე დაბრუნდა. ჯერ კიდევ ადრეული დღეებია კონტრშეტევის. ეს არ დასრულდება მომდევნო 2-3 კვირაში. ვფიქრობ, რამდენიმე თვეს უნდა დაველოდოთ, – განაცხადა ბლინკენმა CNN-თან ინტერვიუში.

ლევან ხაბეიშვილი: რუსული პარტია რომ არ გვაძლევს პრეზიდენტ საკაშვილთან შესვლის უფლებას, ეს ჩემი ბრალია?

– რუსული პარტია რომ არ გვაძლევს პრეზიდენტ საკაშვილთან შესვლის უფლებას, ეს ჩემი ბრალია? – ასე უპასუხა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას, რას აკეთებს პარტია იმისათვის, რომ დეპუტატებს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან შესვლის უფლება ჰქონდეთ.

ამასთან, როგორც პარტიის ლიდერმა აღნიშნა, არჩევნები არ იქნება ლეგიტიმური და თავისუფალი, თუ სააკაშვილი, რომელსაც 600 ათასი ამომრჩეველი ჰყავს, ციხეში იქნება.

– ჩვენ შესაბამის დოკუმენტაციას ვადგენთ, რამდენიმე კვირის წინ მეც მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, მაგრამ არ გვიშვებენ და ეს არის რეჟიმის სახე, როცა ჩვენი უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას არ გვაძლევენ. სხვათა შორის, თამარ კორძაიას ეს გასაჩივრებული აქვს, თუმცა, ამ დრომდე კონკრეტული პასუხი არ არსებობს.

ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრს ვშრომობთ. მაგალითად, ხუთშაბათს საფრანგეთის ელჩთან მაქვს შეხვედრა, ევროკავშირის ელჩს შევხვდი და ამაზე გვქონდა საუბარი, ვერ ჩაითვლება არჩევნები ლეგიტიმურად და თავისუფლად, თუ მიხეილ სააკაშვილი იქნება ციხეში. ჩვენ ამაზე ვესაუბრებით ყველას და უმნიშვნელოვანესია, რომ თუ არჩევნებზე გვინდა საუბარი, თუ ზოგადად რამე არჩევნებთან დაკავშირებულმა შეიძლება იარსებოს, წარმოუდგენელია, პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც 600 ათასზე მეტი მომხრე ჰყავს, იყოს ციხეში, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ზაგრებში საქართველოს საელჩოს გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხორვატიის პრემიერ-მინისტრ ანდრეი პლენკოვიჩთან ერთად, ზაგრებში, საქართველოს საელჩოს გახსნის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრო.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ანდრეი პლენკოვიჩმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და საელჩოს გახსნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

– პრემიერ-მინისტრო პლენკოვიჩ, ჩემო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ, თქვენო აღმატებულებავ, ძვირფასო მეგობრებო! უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა აქ – ხორვატიის რესპუბლიკაში და სახელდობრ მის დედაქალაქ ზაგრებში ყოფნა. დღეს აღინიშნება ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წლის იუბილე. ამასთანავე, ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი საელჩოს გახსნას და აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ელჩს კარგი გემოვნება ჰქონია, რადგან ფანტასტიკური ადგილი შეარჩია თვალწარმტაცი ხედით. ამასთანავე, ეს ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტია თქვენს მშვენიერ ქვეყანაში.

პრემიერ-მინისტრო, დიდი მადლობა თქვენი გულთბილი მიღებისა და მასპინძლობისთვის. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ჩვენი ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის. ხორვატია ყოველთვის იყო საქართველოს ევროპული მომავლის ძლიერი მხარდამჭერი. პრემიერ-მინისტრო პლენკოვიჩ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მხარდაჭერისა და მეგობრობისთვის.

კიდევ ერთხელ მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მადლიერება გამოვხატო ჩემი მთავრობისა და ხალხის სახელით. მადლობას გიხდით კიდევ ერთხელ. დაბოლოს, უნდა ვთქვა, რადგან გადავწყვიტეთ საქართველოს საელჩოს გახსნა ხორვატიაში, რომელიც ზაგრებში დაიდებს ბინას, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად დიდია ჩვენი ინტერესი და ერთგულება ჩვენი მეგობრობისა და პარტნიორობის იდეისადმი. ამით ჩვენ შემდეგ ეტაპზე ავიყვანეთ ჩვენი ურთიერთობა. ამიტომ, მადლობას მოგახსენებთ და მოგესალმებით ჩვენს საელჩოში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც ხორვატიის პრემიერ-მინისტრმა ანდრეი პლენკოვიჩმა აღნიშნა, დღეს ისტორიული მოვლენაა, რადგან ხორვატიაში პირველად იმყოფება ოფიციალური ვიზიტით საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო ირაკლი! გულთბილად მოგესალმებით ხორვატიაში.

მადლობას ვუხდი ელჩ გოგსაძეს, ზაგრებში, საქართველოს ახლადგახსნილ საელჩოში მიღებისთვის. მივესალმები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დარჩიაშვილსა და მის მასპინძელ კოლეგას. აქვე მივესალმები ყველა ჩვენს ქართველ მეგობარსა და დამსწრე საზოგადოებას – ხორვატიის ოფიციალურ პირებს.

ზუსტად 8 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ბატონი ირაკლი გავიცანი. მე მაშინ ევროპარლამენტარი ვიყავი, ხოლო თქვენ პრემიერ-მინისტრობის პირველი მანდატით მართავდით ქვეყანას. მახსოვს, თბილისს ვეწვიე და თქვენი ლამაზი ქვეყანა მოვიარე. მაშინ კარგად გავაცნობიერე, რა სირთულეების წინაშე იმყოფებოდა ქვეყანა, გავიაზრე თქვენი ისტორია და ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი.

თქვენ წნეხს გაუძელით და, რა თქმა უნდა, ამიტომ ვუჭერთ მხარს და პატივს ვცემთ თქვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ორმხრივ ურთიერთობებს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყნებს მრავალი მსგავსება აქვთ. დღეს შევთანხმდით, რომ ეკონომიკური ურთიერთობები უნდა გავაუმჯობესოთ, კულტურული თანამშრომლობისკენ ვისწრაფოდეთ და სამომავლო ენერგეტიკული კავშირების კონტექსტში ვნახოთ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი, თქვენი და ჩვენი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის საფუძველზე. იგივე ეხება თანამშრომლობას მთელი ევროპის მასშტაბით, რადგან ეტაპობრივად ხდება წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება განახლებადი ენერგომატარებლებით, რომლებსაც დიდი ინვესტიციები ხმარდება.

ყოველივე ამის ფონზე, მოუთმენლად ველი თქვენი ელჩის გააქტიურებას აქ, ზაგრებში. ის იქნება „ძრავა", რომელიც მეტ იდეასა და ინიციატივას განახორციელებს საქართველოსა და ხორვატიას შორის თანამშრომლობის გასაზრდელად.

დიდი მადლობა, ძვირფასო ირაკლი, მადლობას ვუხდი ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და ელჩს, – განაცხადა ხორვატიის პრემიერ-მინისტრმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

ზურაბ ჯაფარიძის ცემისთვის ბრალდებული გირაოთი გაათავისუფლეს

„გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის ცემისთვის დაკავებული პირი გორის რაიონულმა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ თავად ჯაფარიძე წერს.

„გორში რომ ჩამარტყა, ის კაცი გაუშვიათ გირაოთი, ან აქამდე რას აწვალეს“, – წერს ჯაფარიძე.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებულს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 2.000-ლარიანი გირაოთი შეუცვალა.

ცნობისათვის, „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერს, ზურაბ ჯაფარიძეს თავს გორში, „სმარტთან“, 17 ივნისს დაესხნენ. თავდასხმის შედეგად ჯაფარიძემ დაზიანება თვალის არეში მიიღო. ის რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

დაკავებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს.

საზოგადოება

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსთვის ხორვატიის გამოცდილების გაზიარება, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მსგავსება მრავალი მიმართულებით შეიტანს დადებით წვლილს ჩვენს სახელმწიფოებს შორის კავშირების გაძლიერებაში და ხალხთა შორის მნიშვნელოვან ურთიერთობებს დაამყარებს, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, უსაფრთხოების სფეროში მოკავშირის რანგში, საქართველო იმ ქვეყნების რიგებში იყო, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი შეჰქონდათ ევროკავშირის უსაფრთხოებაში.

– საქართველოს აქვს ამბიცია, გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი და ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ მისწრაფებებს. იმედი მაქვს, რომ საქართველოსთან მიმართებით ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე გვექნება წინსვლა, – ამის შესახებ ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, ანდრეი პლენკოვიჩმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ხორვატიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, საქართველოს ევროპულ პერსპექტივასა და ნატოში ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრეს.

ანდრეი პლენკოვიჩის თქმით, საქართველოსა და ხორვატიის რესპუბლიკას ევროინტეგრაციის გზაზე ტექნიკურ პროექტებში გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ.

– მოხარული ვარ, რომ ნაშუადღევს, ზაგრებში ჩვენ გავხსნით საქართველოს საელჩოს ხორვატიაში. ბატონო პრემიერ-მინისტრო, დიდი მადლობა თქვენი ვიზიტისთვის ზაგრებში და ასევე მადლობას მოგახსენებთ ძალიან მაღალი დონის ანალიზისთვის, ქართული ხედვის გაცნობისთვის უკრაინისა და შავი ზღვის მიმართულებით, თქვენი დისკუსია ძალიან ქმედითი იყო დღეს.

ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი ხორვატიის რესპუბლიკაში, მას შემდეგ, რაც ვაღიარეთ ერთმანეთის დამოუკიდებლობა და მადლობას ვუხდი მას ვიზიტისთვის. დღეს საუბარი გვქონდა ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ხორვატიასა და საქართველოს შორის. ჩვენ ასევე შევეხეთ საქართველოს ევროპულ პერსპექტივას და იმ ამბიციებს, რომელიც ქვეყანას გააჩნია ნატოში გაწევრიანების თაობაზე. ვისაუბრეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, რუსეთის აგრესიაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე საქართველოში და ასევე, შევეხეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მდგომარეობას. საქართველოს გააჩნია ამბიცია, გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი და ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ მისწრაფებებს, – განაცხადა ხორვატიის პრემიერმა.

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილი მორიგი ომის დანაშაული“

რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილი მორიგი ომის დანაშაული! უმკაცრესად ვგმობ თავდასხმებს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, ოდესასა და მის მშვიდობიან მოქალაქეებზე, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის უხეშ დარღვევას. წერს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და რუსეთის მხრიდან უკრაინის ქალაქ ოდესაზე თავდასხმას ეხმაურება.

პოლონეთში საქართველოს 25 წლის მოქალაქე დააკავეს

პოლონეთში პოლიციამ 2 პირის დაჭრისთვის 25 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავა.

პოლონური მედიის ინფორმაციით, დაკავებულმა დანით დაჭრა პოლონელი, შემდეგ კი კიდევ ერთი პირი, რომელსაც მეგობრის დახმარება სურდა. შემთხვევა 16 ივლისს მოხდა.

დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ის 21 ივლისს დააკავეს.

პოლონეთის სასამართლომ დაკავებულს 3 თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მას 3 წლით პატიმრობა ემუქრება.

კვიპროსზე დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე



კვიპროსის ქალაქ პაფოსში პოლიციამ ორი ქართველი დააკავა, რომლებიც ავტომობილების ძარცვას აპირებდნენ. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს.

ქართველები ავტოსადგომზე იმყოფებოდნენ, რა დროსაც ის პოლიციის პატრულმა შენიშნა. როგორც მედია წერს, ერთ-ერთ დაკავებულს მანქანების გასატეხად გამზადებული ინსტრუმენტები ჰქონდა.

ერთი დაკავებული ადრეც ქურდობის რამდენიმე საქმეში ფიგურირებდა. ამჯერად პოლიციამ ქართველები მანამდე დააკავა, ვიდრე ისინი რამეს მოპარვას მოასწრებდნენ.

იტალიაში ქართველი დააკავეს, რომელიც სუპერმარკეტიდან ალკოჰოლის მოპარვას ცდილობდა



იტალიაში, სუპერმარკეტიდან ალკოჰოლის მოპარვის მცდელობისას, საქართველოს მოქალაქე დააკავეს. როგორც იტალიური მედია წერს, 31 წლის კაცი ლაციოს რეგიონთან, ერთ-ერთ დასახლებაში, მაღაზიის თანამშრომლებმა მაშინ შენიშნეს, როდესაც ის რამდენიმე ბოთლი ალკოჰოლური სასმლისთვის ეტიკეტის მოხსნასა და მათ ჩანთაში დამალვას ცდილობდა.

კაცს 6 ბოთლი უპოვეს, რომელთა საერთო ღირებულება 150 ევროა.

კაცმა მაღაზიიდან გაქცევა სცადა და თანამშრომლებს ემუქრებოდა, თუმცა, პოლიციის დროული რეაგირების შედეგად, მისი დაკავება მოხერხდა. ჩხრეკისას კაცს აღმოაჩნდა სპეციალური ხელსაწყოები, რომელსაც, სავარაუდოდ, დანაშაულის დროს იყენებდა.

მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქეს ქვეყნიდან გააძევებენ.

საგადასახადო მონიტორინგის თანამშრომლებმა 6 თვეში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების 88 ფაქტი გამოავლინეს



საგადასახადო მონიტორინგის თანამშრომლებმა 6 თვეში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების 88 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, სამართალდამრღვევ პირებს ჩამოერთვათ სამეწარმეო საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონელი და მოხდა მისი მოქცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვეების მონაცემებით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასაქონლო ზედნადებების კონტროლის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით გატარებული ღონისძიებების შედეგად, 399 კუბურ მეტრამდე ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 88 ფაქტი გამოავლინეს.

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა მალულად 15 ქალზე იქორწინა

ინდოეთის კარნატაკას პროვინციის ქალაქ ბანგალორის პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომელიც თავს ექიმად ასაღებდა და მალულად 15 ქალზე იქორწინა, რომელთაც კარგი განათლება და წარმატებული კარიერა ჰქონდათ.

ქალაქ მაისურის მკვიდრის 35 წლის მახეშ კ.ბ. ნაიაკას უკანონო საქმიანობის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, როდესაც მისმა ცოლმა, ინჟინერ-პროგრამისტმა, რომელზეც მან 2023 წელს იქორწინა, პოლიციას აცნობა, რომ ქმარი მას ფულს სთხოვდა სამედიცინო დაწესებულების გასახსნელად. ხოლო როდესაც უარი მიიღო, მისი ფული და სამკაულები მოიპარა და მიიმალა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გაქცეულ მამაკაცზე ძებნა გამოაცხადეს, მას ტამაკურუს ოლქში მიაგნეს და დააპატიმრეს.

აღმოჩნდა, რომ 2014 წლიდან დაწყებული თაღლითმა მამაკაცმა მინიმუმ 15 ქალზე იქორწინა, ოთხ მათგანს მისგან ბავშვი შეეძინა. კიდევ ერთმა ასევე მიმართა პოლიციას საჩივრით, რომ ნაიაკმა ის მოატყუა. ინდოელი ქალებს გაცნობის გვერდის დახმარებით უახლოვდებოდა და ზოგს ინჟინრად, ზოგს ექიმად ეცნობოდა. იმის დასადასტურებლად, რომ ის მართლაც ექიმი იყო, მამაკაცმა ქალაქ ტუმკურში ფიქტიური საავადმყოფო დააარსა და მედდა დაიქირავა. რამდენიმე ქალმა მასთან დაქორწინებაზე უარი განაცხადა, როდესაც გაიგეს, რომ ის ცუდად ფლობდა ინგლისურ ენას. სწორედ ამან გადაარჩინა ისინი თაღლითის სქემაში მოხვედრისგან.

იმ ქალების უმრავლესობა კი, რომლებზეც ნაიაკმა იქორწინა, განათლებულები იყვნენ და კარგი კარიერა ჰქონდათ. ისინი მასზე ფინანსურად არ იყვნენ დამოკიდებულები. პოლიციის მონაცემებით, მათ მამაკაცის წინააღმდეგ არ შეჰქონდათ საჩივარი, როდესაც ხვდებოდნენ, რომ მან ისინი მოატყუა, რადგან საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ეშინოდათ.

მყვინთავმა ტბის ფსკერზე დიდი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იპოვა



აშშ-ში მყვინთავმა მაიკლ პელიმ ტბის ფსკერიდან დიდი ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი ამოიტანა და ის მფლობელს დაუბრუნა.

მამაკაცი უკვე ოთხი წელია წყალსაცავებში დაკარგული ნივთების ძებნითაა დაკავებული და ვიდეოს, რომელიც ამას ასახავს იუთუბიში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს. ის წყალსატევებში პოულობს მობილურ ტელეფონებს, საათებს, მზის სათვალეებს, გასაღებებს და საიუველირო ნაკეთობებს. ივლისის დასაწყისში მყვინთავმა კალიფორნიის ქალაქ ბეიკერსფილდის მცხოვრები ქალისგან მიიღო დავალება. ქალმა სახელად ჯენიმ პელის სთხოვა, მოეძებნა მისი ნიშნობის ბეჭედი, რომელიც მან 13 მეტრი სიღრმის ტბაში დაკარგა.

მყვინთავი დაჰპირდა ქალს, რომ დაკარგულ სამკაულს მოძებნიდა და წყალსატევის ფსკერზე ჩაყვინთა.

– როგორც კი ტბის ფსკერს მივაღწიე, მაშინვე მივხვდი, თუ რამდენად რთული იქნებოდა ბეჭდის მოძებნა. ფსკერი მაშინვე აიმღვრა და ფაქტიურად შეუძლებელი იყო რაიმეს დანახვა, – განაცხადა პელიმ.

სამკაულის მოსაძებნად მყვინთავმა წყალქვეშ მუშაობისთვის განკუთვნილი ლითონმაძიებელი მოწყობილობა გამოიყენა. მყვინთავი თანდათან ასუფთავებდა ტბის ფსკერს ჯოხებისა და ნაგვისგან და გარკვეული დროის შემდეგ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს გადააწყდა.

– ეს იყო ნიშნობის ბეჭედი! უზომოდ გამიხარდა მისი პოვნა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მცირე იყო მისი პოვნის შანსი, – იხსენებს ამერიკელი მყვინთავი.

დაკარგული ბეჭდის პოვნამ ჯენი უზომოდ გაახარა და ამისთვის მყვინთავს დიდი მადლობა გადაუხადა.

27 მამაკაცზე გათხოვილი ქალი გაიქცა და მათი ფულებიც გაიყოლა

ინდოეთში პოლიცია ეძებს თაღლით ქალს, რომელიც ათეულობით მამაკაცს გაჰყვა ცოლად, მათი ფულები და ძვირფასეულობა მიითვისა და მიიმალა.

დანაშაულებები ხდებოდა ჯამუს და ქაშმირის სამოკავშირეო ტერიტორიის ქალაქ სრინაგარში. მოუხელთებელ პატარძალს, რომელსაც, სავარაუდოდ, ავრატი ჰქვია, რამდენიმე თანამზრახველი ჰყავდა. კერძოდ, მას ეხმარებოდნენ მაჭანკლები, რომლებიც პოულობდნენ შეძლებულ მამაკაცებს, უჩვენებდნენ მათ პოტენციური მეუღლის ფოტოსურათებს და მასზე დაქორწინებაზე ითანხმებდნენ. ქორწილის შემდეგ კი ქალი ახლად შეუღლებული ქმრის სახლიდან უჩინარდებოდა და ხელს აყოლებდა მის ფულებს და ოქროს საიუველირო ნაკეთობებს. თავისი დანაშაულებრივი კარიერის განმავლობაში ქალმა მინიმუმ 27 მამაკაცზე გათხოვება და მათი გაქურდვა მოასწრო.

ერთ-ერთმა დაზარალებულმა განაცხადა, რომ გაქცევის წინ ავრატმა უთხრა, რომ მას სასწრაფოდ უნდა მოენახულებინა მშობლები. მეორე მდიდარ მეუღლეს ქალი იმ დროს გაექცა, როდესაც ისინი საავადმყოფოში მიდიოდნენ. მესამე შემთხვევაში ქალმა მოტყუებული მამაკაცის მამას გატაცებული ფული დაუბრუნა, თუმცა უცნობია, ეს როგორ მოხერხდა.

დაზარალებულები, რომლებიც თაღლითების კვალზე გასვლას ცდილობდნენ, გებულობდნენ, რომ ისინი გამოგონილი სახელებით სარგებლობდნენ, მათი საბუთები ყალბი იყო, ისევე, როგორც მათი მისამართები და ტელეფონის ნომრები. თავად პატარძალი სასიძოებს, როგორც მინიმუმ, სამი სახელით: ჯახინ, ილიასა და შახინად ეცნობოდა. ზუსტად რა თანხა გაიტაცა თაღლითმა პატარძალმა, ოფიციალურად არ სახელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალე შედგება უკრაინა-ნატოს საბჭოს პირველი სხდომა

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე მორიგი გამწვავებაა. როგორც ცნობილია, უკრაინელებმა ბახმუტი სრულ ალყაში მოაქციეს. შეიქმნა ქალაქის აღების რეალური საშუალება.

– თუ დღეს ბახმუტის გათავისუფლების შანსს არ გამოვიყენებთ, ხვალ ეს შესაძლოა გვიანი იყოს! – განაცხადა უკრაინული არმიის სარდალმა სირსკიმ.

როგორც ჩანს, ეს პუტინსაც კარგად ესმის. მან ბახმუტთან ახალი ძალები გადაისროლა. ისინი კვლავ ძირითადად მედესანტეებისაგან შედგებიან. რუსებმა კონტრშეტევაზე გადასვლა სცადეს, მაგრამ მარცხი განიცადეს და უკან დაიხიეს.

– უკრაინელებმა ბახმუტთან კონტრშეტევის საშუალება არ მისცეს რუსებს, – იტყობინება აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ოკუპანტების მდგომარეობა სავალალოა. უკრაინელები უახლოვდებიან ბერდიანსკსა და მელიტოპოლს, მაგრამ შეტევის სისწრაფეზე დიდად მოქმედებს ის, რომ რუსებმა მთელი ველები დანაღმეს. მძიმე ტექნიკა აქ ვერ გაივლის. უკრაინელებიც დანაღმულ ველებს არტილერიას უშენენ. რუსები ცდილობენ, ამას დაბომბვები დაუპირისპირონ. უკრაინაც ცეხლშია გახვეული.

უკრაინული არმიის მთავარი ძალები ბრძოლაში ჯერ არ ჩაბმულან. იგივე შეიძლება ითქვას დასავლურ ტექნიკასა და კასეტურ ბომბებზე, რომლებიც უკრაინელებს აშშ-მ მიაწოდა. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ზაფხულის კონტრშეტევის დაწყებიდან დღემდე უკრაინელებმა ათჯერ ნაკლები სამხედრი დაკარგეს, ვიდრე რუსებმა. სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსების დანაკარგები შემდეგია:

ტანკები – 4.151; სამხედრო ბრონირებული მანქანები – 8.105; არტილერია – 4.658.

სულ ომის დაწყებიდან დღემდე დაღუპულია 241.980 ოკუპანტი.

ამ ფონზე გაიმართება უკრაინა-ნატოს საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია ორი საკითხი: 1) რუსეთის მიერ მარცვლეულის შეთანხმებიდან გასვლა; 2) რუსეთ-უკრაინის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა.

სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ მარცვლეულის შეთანხმებიდან გასვლა მიზნად ისახავს მსოფლიოს დაშანტაჟებას. ამით პუტინი ეუბნება დემოკრატიულ სამყაროს: ან აიძულეთ უკრაინა მიუჯდეს სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდას, ან მსოფლიოს გლობალური შიმშილი დაემუქრება.

– რუსეთის შანტაჟს ყურადღებას არავინ აქცევს, – ამბობს სტოლტენბერგი.

ბლინკენი: წინ დიდი ბრძოლებია

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ უკრაინული კონტრშეტევა წარმატებით ვითარდება. უკვე გათავისუფლებულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების 50%.

– ეს საკმარისი არაა. აუცილებელია, ყველა უკრაინული მიწის გათავისუფლება, – თქვა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი უკრაინას აუცილებლად დატოვებს.

– თუმცა, საამისოდ წინ დიდი ბრძოლებია! – აცხადებს ბლინკენი.

დაგეგმილი კონტრშეტევა გაზაფხულის ნაცვლად ზაფხულში დაიწყო

უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ დაგეგმილი კონტრშეტევა გაზაფხულის ნაცვლად ზაფხულში დაიწყო. მიზეზი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ნაკლებობა იყო.

–კონტრშეტევა ზაფხულში დაიწყო. რუსებს უკრაინელებზე მეტი ტანკი და რაკეტა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, უკრაინელები ინიციატივას დაეუფლნენ. ისინი ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევენ წინ, – თქვა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მოსალოდნელია ახალი სარაკეტო დარტყმები უკრაინაზე, კერძოდ, მის ენერგეტიკაზე.

– ახალი დარტყმები ჩვენს ენერგეტიკაზე რეალურია, – თქვა ზელენსკიმ.

ფრონტზე წარუმატებლობას რუსებმა უპასუხეს ნაცადი მეთოდით – დაბომბვებით. დაიბომბა ოდესა. დაზიანდა ქალაქის ისტორიული ნაწილი, პორტი და მახლობლად მდებარე შენობები. მართალია, უკრაინელებმა რუსული რაკეტების უმრავლესობა ჩამოაგდეს, მაგრამ რაკეტების ნამსხვრევებით დაზიანდა სახლები. დაიბომბა ნიკოლაევი, ხერსონი, დნეპრი და ა.შ.

დარტყმა მოსკოვზე

გუშინ, გამთენიისას, მოსკოვში აფეთქებების ხმა გაისმა. რუსეთის თავდაცვის სამინიტრომ ტრადიციულად ხელი კიევისაკენ გაიშვირა.

ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ არის.

პუტინს ფსიქიკა მთლად მოეშალა

ცნობილი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი ამტკიცებდა, რომ ხანგრძლივი ომი ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს. პუტინი ამ სიტყვების დადასტურებაა.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა თავის ინტერვიუში მსოფლიოს ამცნო, რომ პოლონეთს სურს დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია. ამის დასამტკიცებლად მან შემდეგი ფაქტები მოიყვანა: პოლონეთის პრეზიდენტი დუდა ამტკიცებს, რომ ნატომ უკრაინაში სამშვიდობო კონტინგენტი უნდა შეიყვანოს.

– ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი დაიკავებს ლვოვს და იქედან აღარასდროს წამოვა, – ასკვნის პუტინი.

დუდამ ამ სიტყვებს შემდეგი კომენტარი გაუკეთა: რუსეთი დიდი ქვეყანაა და საოცარია, საგიჟეთები რატომ არ ჰყოფნითო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჩაკვეტაძის ტრანსფერი უოტფორდისთვისაც სასარგებლოა

ბოლო დროს ბევრი იწერება ქართველი ფეხბურთელის, გიორგი ჩაკვეტაძისა და ინგლისის ჩემპიონშიფში მოასპარეზე უოტფორდის შესახებ. ბოლო ცნობებით, ტრანსფერის გაოფიციალურებამდე ძალიან ცოტაა დარჩენილი – ქართველი ფეხბურთელი პარასკევს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც კონტრაქტს ხელს მოაწერს. უოტფორდი ჩაკვეტაძეს ბელგიური გენტიდან იჯარით დაიმატებს.

ჩაკვეტაძის ტრანსფერზე ბრიტანული მედიაც აქტიურობს. 23 წლის ფეხბურთელის შესახებ წერენ, რომ ეს გარიგება ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

აი, რას წერს ბრიტანული მედია:

– 23 წლის შემტევი ნახევარმცველი, 2017 წელს გენტში გადასვლამდე, საქართველოში, თბილისის დინამოში თამაშობდა. 2018-19 წლების სეზონში გენტის შემადგენლობაში 20 მატჩში ითამაშა, მაგრამ გუნდში ლიმიტირებული სათამაშო დრო ჰქონდა. ამის გამო ჩაკვეტაძე ჯერ ჰამბურგში გაანათხოვრეს, შემდეგ კი – სლოვაკურ სლოვანში. ბოლო სეზონში 47 შეხვედრაში 1 გოლი და 9 საგოლე პასი შეასრულა, რითიც დაგვანახა, რომ შეტევაში საფრთხეს წარმოადგენს. სავარაუდოდ, უოტფორდის ყურადღებაც ამით მიიქცია.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩაკვეტაძის ტრანსფერი არის იჯარა გამოსყიდვის უფლებით. შესაბამისად, ვალერიენ ისმაილის გუნდს 23 წლის მოთამაშის შეძენა 2 მილიონ ევროდ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ მის დამატებითად გაფორმებას გადაწყვეტენ, საჭირო იქნება ასევე დამატებითი პროცენტის გადახდაც. უოტფორდმა ისმაილა სარი მარსელში 15 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაყიდა, ჟოაო პედრო კი, ბრაიტონში გადადის. ეს ნიშნავს, რომ თუ ქართველის ყიდვას გადაწყვეტენ, ბევრად უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

თუ უოტფორდი ჩაკვეტაძეს მხოლოდ 2 მილიონ ევროდ გამოისყიდის, საბოლოო ჯამში, მათ დაახლოებით 2 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ. ბევრად უფრო მეტი თანხა დაიხარჯება ამ ზაფხულში სატრანსფერო ფანჯრის დროს, შესაბამისად, ეს შედარებით უფრო დაბალრისკიანი დამატებაა.

გასულ სეზონში ჩაკვეტაძის გოლების შედეგი კარგი არ იყო, მაგრამ თუ უოტფორდის „ვიკარაჯ როუდზე" შთაბეჭდილებას მოახდენს და სარისა და პედოს წასვლის შემდეგ შეტევაში განსხვავებას შექმნის, მაშინ კარგი აქტივი იქნება. თუ აქ არ გაამართლებს, მას შეუძლია სეზონის ბოლოს გენტში დაბრუნება. შესაბამისად, ეს ჭკვიანური გარიგებაა.

23 წლის ქართველი შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში კარგი დამატება აღმოჩნდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ ბევრს ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონშიფში ადაპტაციას დრო სჭირდება, მას კვალის დასატოვებლად მთლიანი სეზონი უნდა მისცენ და გადაწყვეტილება მის მომავალზე შემდეგ უნდა მიიღონ.

უოტფორდი ჩემპიონშიფის პირველ მატჩს 5 აგვისტოს გამართავს, რომელშიც ქპრ-ს დაუპირისპირდება.

საქართველოს მესამე ადგილი და სვანი ხუთეულში

საქართველოს 16-წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ც დივიზიონის ბრინჯაოს მედლების მფლობელია. ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილმა ნაკრებმა ანდორაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში მე-3 ადგილი დაიკავა.

ქართველებმა რევანში აუღეს მალტას, რომელთანაც ჯგუფურ ეტაპზე, ტურნირის სადებიუტო მატჩში 74:79 დამარცხდნენ. საბოლოოდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ მესამე ადგილისთვის მატჩში საქართველოს მალტა შეხვდა და ამჯერად 5 ქულით ქართველებმა იმარჯვეს – 51:46.

ქართველებმა მეტოქეს მეორე პერიოდში აჯობეს, რომელშიც 16:9 იმარჯვეს და მოპოვებული უპირატესობა, მალტელთა თავგამოდებული ბრძოლისა და შეტევების მიუხედავად, ბოლომდე შეინარჩუნეს.

ჩვენს ნაკრებში კვლავ სალომე სვანი გამოირჩა, რომელიც ერთადერთი იყო ჩვენს გუნდში, 10-ქულიან ბარიერს რომ ასცდა. სალომემ 24 ქულა, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

სალომე სვანი შევიდა ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის სიმბოლურ ხუთეულში. ის ტურნირზე საშუალოდ 35.6 ქულას იხვეჭდა და ამ მაჩვენებლით საუკეთესო იყო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ყალეიდოსკოპი



მამაკაცი ნიანგის თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა

ინდოეთის ოდიშას შტატის სოფელ დაუნიში წყალსატევში ბანაობის დროს მამაკაცს თავს ნიანგი დაესხა.

ინდოელმა ტუკუნა ბახერამ, რომელიც სპეციალობით კალატოზია, გადაწყვიტა სამსახურში მიმავალს გზად მდინარეში ებანავა. როდესაც ის წყალში შევიდა, მოულოდნელად მას თავს ნიანგი დაესხა. მტაცებელმა მამაკაცს ფეხზე რამდენიმე მძიმე დაზიანება მიაყენა.

ბახერამ ნიანგისგან თავის დაღწევა მოახერხა და ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

ქალს სიზმარმა ლატარიაში სამჯერ მოაგებინა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა, 77 წლის ქალმა, ძილში ნანახი სიზმრის წყალობით, ლატარიაში სამჯერ გაიმარჯვა.

ქალის თქმით, 2008 წელს მან ორჯერ ნახა სიზმარში რიცხვები 7-11-33-35-39.

– იმ დროს ფინანსური მდგომარეობა არცთუ სახარბიელო მქონდა და მის გაუმჯობესებაზე ვლოცულობდი. შემდეგ კი ეს ციფრები დამესიზმრა, – იხსენებს ქალი.

მან მაშინვე დაიწყო ლატარიის გათამაშებებში ამ ციფრების გამოყენება. მათმა ამ კომბინაციამ კი მას სამჯერ მოაგებინა 50 ათასი დოლარი: 2008, 2019 და 2023 წლებში.

ქალმა ბოლო მოგების შესახებ მას შემდეგ შეიტყო, როდესაც ლატარიის გათამაშების ორგანიზაციის ოფისში დარეკა და ამოსული ნომრები იკითხა.

– ეს ციფრები ჩამთვის კარგად ნაცნობი იყო, თუმცა, ამის გამო არ მიყვირია, სიმშვიდე შევინარჩუნე, – აღნიშნა ქალმა.

ზვიგენმა მეთევზეს დაჭერილი თევზი შეუჭამა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში სათევზაო გემის ეკიპაჟის თვალწინ ზვიგენმა მეთევზეს მის მიერ დაჭერილი თევზი შეუჭამა და მხოლოდ მისი თავი დაუტოვა.

ქალაქ ჰარვიჩის მკვიდრი, გემის კაპიტანი, 63 წლის დონალდ პარკერი თავის გუნდთან ერთად კეიპ-კოდის ყურეში სათევზაოდ გაემგზავრა. როდესაც მან წყალში ანკესი გადააგდო, წყლიდან ზვიგენი ამოხტა და მის მიერ დაჭერილ თევზს სხეულის უდიდესი ნაწილი მოაჭამა. მას ხელთ მხოლოდ თევზის თავიღა შერჩა.

– ზვიგენმა მას პირი სტაცა და დატრიალდა. ყველანი გაოგნებულები შევყურებდით ამ ყოველივეს, – განაცხადა ამერიკელმა.

თუმცა, მან იქვე აღნიშნა, რომ ასეთი რამ იშვიათობას არ წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაირეული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

დინამო იწყებს, მომავალი მეტოქეებიც ცნობილია

შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას კონფერენს ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა, რის შედეგად, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვის შემთხვევაში ქართული გუნდების პოტენციური მეტოქეები გაირკვა.

ქუთაისის ტორპედო ყაზახური აკტობეს ბარიერის დაძლევის შემთხვევაში მესამე ეტაპზე სოფიის ცსკა-სა და რუმინული სეპსის წყვილში გამარჯვებულს დაუპირისპირდება. თუ ასე მოხდა, რიონისპირელები პირველ მატჩს 10 აგვისტოს სტუმრად ითამაშებენ, ხოლო საპასუხო ქუთაისში 17 აგვისტოს გაიმართება.

თბილისის დინამო მალტურ ჰამრუნთან ორი მატჩის ჯამში მოგების შემთხვევაში, უნგრულ ფერენცვაროშსა და ჩრდილო ირლანდიურ შემროკ როვერსს შორის უმჯობესს, 10 აგვისტოს თბილისში, ხოლო 17 აგვისტოს სტუმრად გაეჯიბრება.

თუ გორის დილა პოლტავას ვორსკლას დაამარცხებს, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე კვიპროსული აპოელისა და სერბული ვოივოდინას წყვილში გამარჯვებულთან ითამაშებს. ჯერ გორში, 10 აგვისტოს, ხოლო 17 აგვისტოს სტუმრად.

მოგეხსენებათ, აპოელში გიორგი ქვილითაია, ლაშა დვალი და მურთაზ დაუშვილი თამაშობენ.

თუმცა, მანამდე ქართულ კლუბებს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი აქვთ გადასალახი. პირველი საქმეში თბილისის თბილისი ჩაერთვება, რომელიც მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრას მალტის ქალაქ ტაქალში ჩაატარებს.

გია ჭიაბრიშვილის გუნდი ამ მატჩს დანაკლისით უკვე ხვდება. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ შვეიცარიაში ჩავიდა დინამოს 18 წლის ნახევარმცველი გაბრიელ სიგუა, რომელიც კარიერას იქაურ ბაზელში გააგრძელებს.

მარტში სიგუა თვით ვილი სანიოლმა საქართველოს ნაკრებში გამოიძახა. ითამაშა ახალგაზრდულ ევრო 2023-ზე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც ასტანაში გამთანაბრებელი გოლიც გაიტანა და, გასაკვირიც არ არის, რომ ევროპელთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

თუმცა, დინამომ შევსებაც მიიღო – რუსეთიდან 19 წლის საყრდენი ნახევარმცველი ლუკა წულუკიძე დაიმატა. წულუკიძე ჯერ საბურთალოში ვარჯიშობდა, შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაში გაატარა და ისევ საბურთალოში დაბრუნდა.

წულუკიძემ 2022 წლის 8 თებერვალს ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა რუსულ ეკატერინბურგის ურალთან. მალევე რუსეთმა უკრაინაში ომი წამოიწყო და წულუკიძე დროებით საბურთალოში დაბრუნდა. თუმცა, ისევ უკან წასვლა მოუხდა, მაგრამ ფიფას წესებით ისევ ისარგებლა, ურალი დატოვა და ამჯერად დინამოში ითამაშებს.

დინამო უეფას კონფერენციის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის გასამართად მალტის დედაქალაქ ვალეტაში ჩარტერული რეისით ჩავიდა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი მალტას 21 ფეხბურთელის შემადგენლობით ეწვია. ტრავმების გამო თბილისურ კლუბს თორნიკე კირკიტაძე და მუსა სანგარე ვერ დაეხმარებიან.

დინამო თბილისის შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლორია, დავით კერესელიძე;

მცველები: ნიკა მალი, გიორგი მაისურაძე, საბა ხვადაგიანი, გაგი მარგველაშვილი, ჯიმი ტაბიძე, ალექსანდრე კალანდაძე, დავით კობოური, ლუკა ლაკვეხელიანი;

ნახევარმცველები: ანზორ მექვაბიშვილი, ლევან ოსიყმაშვილი, ოსეი ბარნსი, გიორგი ხარაიშვილი, ულად ომარ იმრანი, გიორგი მოისწრაფიშვილი, ლაშა ოდიშარია;

თავდამსხმელები: უსმანე კამარა, ზორან მარუშიჩი, დავით სხირტლაძე, ჯადული იობაშვილი;

ახლა ცოტაოდენი რამ მეტოქეზე: საფეხბურთო კლუბი ჰამრუნ სპარტანსი 1907 წელს ჩამოყალიბდა. საკლუბო ფერები შავ-წითელშია გადაწყვეტილი. სპარტანსი საშინაო მატჩებს ქალაქ ჰამრუნის, ვიქტორ ტედესკოს სახელობის 2.000-იან სტადიონზე მართავს, ევროთასის შეხვედრებს კი, ტაქალის სტადიონზე ატარებს.

ჰამრუნ სპარტანსმა მალტის პრემიერ ლიგა 9-ჯერ მოიგო. აღსანიშნავია, რომ მეშვიდე ტიტული სპარტანსმა შორეულ 1991-ში აღმართა. ბოლო ორი ჩემპიონობა კი წელს და ორი წლის წინ იზეიმა. მალტის თასი შავწითლებმა 6-ჯერ მოიგეს, ხოლო სუპერთასი 5-ჯერ. ევროთასებზე მასპინძლები რეგულარულად 80-იან წლებში და 90-იანების დასაწყისში ასპარეზობდნენ, თუმცა პირველ ეტაპს ვერასოდეს ცდებოდნენ. შარშან, კი სპარტანსმა კონფერენციის ლიგაზე თავისთვის საუკეთესო შედეგი აჩვენა. ჰამრუნმა პირველ რაუნდში სომხური ალაშკერტი დაამარცხა, შემდეგ ბოსნიურ ველეჟ მოსტარს გაცდა, მესამე რაუნდში სოფიის ლევსკის აჯობა და მხოლოდ ფლეი ოფში დათმო ბრძოლა ბელგრადის პარტიზანთან. წელს ჰამრუნმა ჩემპიონთა ლიგაზე დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ პირველი ეტაპი ჰაიფას მაქაბისთან დათმო (0:4 და 1:2) და კონფერენციის ლიგაზე გადმოერთო.

სპარტანსის მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2023 წლიდან, ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი, წარსულში იტალიის ნაკრების (5 მატჩი), ატალანტას, ლაციოს, ფიორენტინას და სამპდორიის მოთამაშე, 45 წლის ლუჩანო ძაური მოღვაწეობს.

გუნდშია ლაციო ყოფილი მეკარეც, 40 წლის ფედერიკო მარკეტი, რომელიც საკლუბო კარიერას ნამდვილად არ უჩივის.

უეფას კონფერენციის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა ჰამრუნ სპარტანსსა და დინამოს შორის 25 ივლისს, 22:00 საათზე დაიწყება.

მატჩს ბოსნია-ჰერცოგოვინელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი მილოშ გიგოვიჩი გახლავთ. მას ასისტენტობას დამირ ლაზიჩი და ამერ მაციჩი გაუწევენ. მეოთხე მსაჯი ანტონი ბანდიჩი იქნება.

თად მაკფადენი: ქართველი ვარ!

საქართველოს ნაკრები კალათბურთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის იტალიის ქალაქ ტრევიზოში ემზადება. გუნდს შეუერთდა ამერიკელი ნატურალიზებული თად მაკფადენი, რომელმაც ბოლო პერიოდი ვენესუელაში გაატარა და ძალები იქაურ ჩემპიონატში მოსინჯა.

მაკფადენი კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურთან საუბარში ამბობს, რომ საქართველოს ნაკრების ერთგულია.

თად მაკფადენი:

– ჩემთვის ყოველთვის სასიხარულოა საქართველოს ნაკრებში თამაში. აქაურობა ჩემი მეორე სახლია. ვერ ვიხსენებ ბოლო თამაშს, რომელიც გამოვტოვე. აქ ჩამოსვლა ყოველთვის მინდა, ყოველ ჯერზე, როცა ამის შანსი მეძლევა, თქვენთან ვარ. ვიცნობ ქვეყანას, ვიცნობ ბიჭებს, რომლებიც ყოველთვის კეთილ სურვილებს მიგზავნიან. აქაურობა ჩემი ოჯახია, შესაბამისად, არ მინდა, რომ ოჯახს ვუღალატო. საქართველო ჩემთვის ძალიან ბევრს აკეთებს. გულშემატკივრები სოციალური ქსელებიდანაც კი მირეკავენ, რამდენიმეს ველაპარაკე კიდეც. მეუბნებიან, რომ ვენატრები. იმ სიყვარულის გამო, რომელსაც თქვენგან ვიღებ, ვნატრობ, რომ 60 წლამდე თამაში შემეძლოს! აქ დაბრუნება და თამაში ყოველთვის სასიამოვნოა...

მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს შანსებს ძალიან იმედიანად ვაფასებ. ძალიან კარგი გუნდი გვყავს. ვერ დავასახელებ ერთ კონკრეტულ ნაკრებს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებს. კალათბურთი ვითარდება და წელს მონაწილეობას ძალიან კარგი გუნდები იღებენ. წინა მსოფლიო, თუ არ ვცდები, ევროპულმა გუნდმა მოიგო. აუცილებელია, სათამაშოდ გამოხვიდე და, შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს. ძალიან დარწმუნებული ვარ ჩვენს გუნდში. მხოლოდ მსოფლიოზე ყოფნით არ დავკმაყოფილდებით – კმაყოფილები კარგი თამაშითა და ასპარეზობით ვიქნებით. რა თქმა უნდა, ვეცდებით, რაც შეიძლება შორს წავიდეთ...

მგონია, რომ ჩვენს ჯგუფში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. გულწრფელად რომ გითხრათ, ვენესუელაზე ბევრი არაფერი ვიცი, ვიცნობ ერთ-ერთ გამთამაშებელს, რომელიც ძალიან კარგი კალათბურთელია. მითამაშია მათ მაღალ ცენტრთან ერთად, რომელიც ასევე მშვენიერი კალათბურთელია. მათ სისტემაზე ბევრი არაფერი მსმენია, მაგრამ მოთამაშეებთან შეხება მქონია და როგორც ყველა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე, მათაც აუცილებლად ძალიან, ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. მუნდიალზე შემთხვევით არავინ თამაშობს. მჯერა, ჯგუფში ყველა თამაშის მოგება შეგვიძლია...

საქართველოს ნაკრებისთვის თამაში ჩემთვის ყოველთვის ნომერი პირველი იყო. არასდროს მიფიქრია ვენესუელისთვის თამაში, არც კი ვიცი ეს ინფორმაცია საიდან გაჩნდა. ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ ეს იყო სამსახური, სადაც მეტის გამომუშავება შემეძლო და სანამ შემოთავაზებას დავთანხმდებოდი, ვიკითხე, შემექმნებოდა თუ არა ნაკრებთან პრობლემები. მათ წინადადებას მხოლოდ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ დავთანხმდი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსთვის თამაშში ხელი შემეშლებოდა, ვენესუელაში არ წავიდოდი. ამ ჭორის შესახებ არც კი გამიგია რაიმე, მე ქართველი ვარ!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თასი სენსაციებით

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე მეთექვსმეტედფინალური მატჩები გაიმართა და მცირე სენსაციებიც დაფიქსირდა. ტურნირს უკვე დაემშვიდობა სამი უმაღლესლიგელი გუნდი.

ელიტის ერთი წარმომადგენელი რომ გავარდებოდა, ისედაც ცნობილი იყო, რადგან ერთმანეთს ელიგის ორი გუნდი ხვდებოდა. წყალტუბოს 26 მაისის სახელობის სტადიონზე სამგურალმა გაგრას უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ნოდარ ლომინაძემ, ნიკა კალანდარიშვილმა და ტაიკი კაგაიამამ გაიტანეს.

ქობულეთის შუქურა თბილისის ლოკომოტივთან 0:3 დამარცხდა. გუნდთან, რომელსაც ბოლო პერიოდში ძალიან უჭირს და მეორე ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად წვალობს. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, დამატებულ დროში კი, თორნიკე კურტანიძემ დუბლი შეასრულა, ერთი გოლიც ლაშა მენთეშაშვილმა გაიტანა.

გავარდა სამტრედიაც – იმერლებმა ბოლნისის სიონთან 1:4 წააგეს. ტაიმი აქაც 0:0 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი, ბოლნისელებმა ზედიზედ ოთხი გოლი გაიტანეს – გიორგი კორიფაძემ, თორნიკე მუმლაძემ, ივანე ხაბელაშვილმა და გოჩა ცირდავამ. სამტრედიელმა ვარლამ კილასონიამ მხოლოდ ამის შემდეგ შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტს ვერაფერს გამორჩა.

გაუჭირდა თელავს, რომელიც სტუმრად ელიგა 2-ის ვიტ ჯორჯიასთან 0:2 მარცხდებოდა, მაგრამ მოახერხა და ძირითად დროში ანგარიში გაათანაბრა. პენალტების სერია კახელებმა უკეთ შეასრულეს – 5:4.

კიდევ ერთ სენსაციად თბილისის ირაოს დიდი ანგარიშით მოგება უნდა მივიჩნიოთ. მესამე ლიგელმა გუნდმა მარტვილის მერანს 4:0 მოუგო.

ასეთივე ანგარიშით საბურთალომ ლანჩხუთში გურია დაამარცხა. გიორგი კოხრეიძემ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოში გოლი გაიტანა; გუნდის კაპიტანმა იური ტაბატაძემ დუბლი შეასრულა, ბოლოს პენალტით ლუკა სილაგაძემაც გაიტანა.

საინტერესო მატჩი იყო ქედაში, სადაც აჭარული დერბი შედგა და ბეთლემმა 1:0 მოუგო გონიოს. მატჩის შემდეგ გონიოს პრეზიდენტმა დავით დოლიძემ სოციალურ ქსელში სტატუსი გამოაქვეყნდა, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც გადასწვდა და არცთუ კორექტულად მოიხსენია.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: მაჭახელა-კოლხეთი (ფ) 1:7; ბახმარო-სპაერი 0:3; ვიტ ჯორჯია 2-კოლხეთი (ხ) 0:4; შუქურა 2-მეშახტე 1:2; გარეჯი-მერანი (თბ) 4:1;

ცნობილია საქართველოს თასის მერვედფინალური წყვილები, რომელიც 4 დღეს გაიმართება. აქედან სამ დღეს ივლისში ითამაშებენ, ერთსაც – სექტემბერში:

29 ივლისი: ბეთლემი-კოლხეთი (ფ); კოლხეთი (ხ)-სამგურალი; ირაო-მეშახტე; დინამო (თბ)-ლოკომოტივი;

30 ივლისი: სიონი-დინამო (ბთ); თელავი-საბურთალო;

31 ივლისი: გარეჯი-დილა;

7 სექტემბერი: სპაერი-ტორპედო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. კვერცხების ვარგისიანობის შესამოწმებელი ელექტროხელსაწყო; 3. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. მსუსხავი ბალახი; 5. ღვინისა და დროსტარების დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 21. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 23. გერმანიის კანცლერი.

თარაზულად: 6. სიცოცხლით სავსე, მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 22. ყირგიზეთის დედაქალაქი; 24. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. ღია ცის ქვეშ დანთებული დიდი ცეცხლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პასტიჩო; 2. ჰეინიკენი; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 5. წიქარა; 9. სტიგმა; 11. სეინერი; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. ფოგტი.

თარაზულად: 4. ბორანი; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ანკესი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. კორიდა; 16. ნანა; 17. ცანა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კარტელი; 23. ტუბერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მავრები; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. მიშელი; 11. მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. პარმიტანო; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ამური; 23. ატენი.

თარაზულად: 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. რიგოლეტო; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. დანია; 20. ჩონგური; 22. დიადემა; 24. იმნაძე; 25. მაშავერა; 26. ვანილი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

25 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6003

ევრო — 2.8837

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3385

100 რუსული რუბლი — 2.8764

ამინდის პროგნოზი 25 ივლისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავი: „სეზონისთვის სერიოზულად ვემზადებით“

ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ხავი ერნანდესი მომავალ სეზონზე საუბრობს და ამბობს, რომ მისი გუნდი სეზონისთვის სერიოზულად ემზადება. ხავის თქმით, რამდენიმე ახალწვეული გუნდს უკვე შეეჩვია და კარგად შეეწყო:

– მომავალ სეზონში ჩვენ მხოლოდ უმაღლესი მიზნები გვაქვს და გვინდა, რომ ყველა ტიტული მოვიგოთ. ბარსელონას წელს უფრო მეტი მოთამაშე ეყოლება და ეს ჩვენს შედეგებზე კარგად იმოქმედებს“.

მბაპეს რეალში თამაში სურს

პსჟ-ს ფორვარდს კილიან მბაპეს რეალში თამაში სურს და ის სხვა გუნდების წინადადებებს არ განიხილავს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მბაპეს პსჟ წელს გაყიდის, რადგან ფრანგ ფორვარდს პსჟ-ში დარჩენა არ სურს და პსჟ-მ კილიანი სეზონის წინ განაცხადშიც არ შეიყვანა.

მბაპემ რამდენიმე ინტერვიუში აღნიშნა, რომ მას ახალი გამოწვევები სურს და ამისთვის მზად არის.

ლუჩიანო სპალეტი შესაძლოა იუვენტუსის მწვრთნელი გახდეს

ნაპოლის აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი ლუჩიანო სპალეტი შესაძლოა უახლოეს მომავალში იუვენტუსის მწვრთნელი გახდეს და ამის შესახებ უკვე ვრცელდება ინფორმაცია იტალიურ მედიაში.

იუვენტუსი ახალი მწვრთნელის ძიებაშია და სპალეტი მათ იდეალურ კანდიდატად ესახებათ. შეგახსენებთ, რომ სპალეტიმ გასულ სეზონში ნაპოლისთან ერთად იტალიის ჩემპიონატი მოიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ცოფიან თახვს ტბაში მოცურავე გოგონას დაკბენა სიცოცხლის ფასად დაუჯდა

აშშ-ში ცოფიანი თახვი თავს დაესხა პატარა გოგონას, რომელიც ტბაში ცურავდა და ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

გოგონა ჯორჯიის შტატში მდებარე ტბა ლანიერში ბანაობდა, როდესაც მას მოულოდნელად თახვი დაესხა თავს და ფეხზე უკბინა. ამის დანახვაზე ცხოველს გოგონას მამა მივარდა და ბლაგვი საგნის გამოყენებით აგრესიული ცხოველი მოკლა. გოგონა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, ხოლო მკვდარი თახვი ლაბორატორიაში გადაიტანეს, იმის დასადგენად, თუ რა გახდა მისი ბავშვზე თავდასხმის მიზეზი.

ანალიზებმა დაადგინეს, რომ მღრღნელი ცოფით იყო დაავადებული. როგორც ჯორჯიის შტატის ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა დონ მაკგოუენმა განაცხადა, თახვი 23 კილოგრამს იწონიდა.

– როგორც კი ცოფის ვირუსი ცხოველის ტვინში აღწევს, ამ შემთხვევაში თახვის ტვინში, ის უბრალოდ გიჟდება, – განმარტა მან.

ამ დროისთვის დაშავებული ბავშვის ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ქორის მიერ გატაცებული ლეკვი პატრონს ცოცხალი დაუბრუნდა

სოციალური ქსელის ტიკტოკის მომხმარებელმა ქალმა განაცხადა, რომ ქორმა მას ტაქსას ჯიშის ლეკვი, სახელად პინტო მოსტაცა. დაკარგვიდან რვა საათის შემდეგ ცხოველი სახლში დაბრუნდა.

ქალმა ლეკვი ბაღში სასეირნოდ გაუშვა. მალევე მას ლეკვის წკავწკავის ხმა შემოესმა და იფიქრა, რომ მას მისმა უფრო დიდმა ძაღლმა დააბიჯა. ის გარეთ გავარდა და დაინახა, რომ ყვავილის ქოთანი გატეხილი იყო, ხოლო შესასვლელთან ბრჭყალებისგან დატოვებული ნაკაწრები შეინიშნებოდა. როდესაც პინტო ვერსად ნახა, ქალმა იფიქრა, რომ ის ქორმა გაიტაცა.

ქალმა ტიკტოკში მაშინვე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც მომხდარი აღწერა. მან ასევე აღნიშნა, რომ ლეკვი მას ქმარმა აჩუქა ქორწილის იუბილესთან დაკავშირებით და პატარა ძაღლების პატრონებს მოუწოდა, რომ ისინი უპატრონოდ არ დაეტოვებინათ.

ამ ყველაფრიდან რვა საათის შემდეგ კი პინტო სახლში მნიშვნელოვანი დაზიანებების გარეშე დაბრუნდა. ქალი ფიქრობს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ლეკვი იქვე, სადღაც ახლომახლო იმალებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ახალ ბინაში გადავედით მე და ჩემი მეუღლე.

– მერე, როგორია?

– ცოლს შევეკითხე, როგორი სმენადობაა-მეთქი და კედლის მეორე მხრიდან მეზობელმა მიპასუხა: „შესანიშნავი!“

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მთელი ცხოვრება ერთ მამაკაცთან იცხოვრო?

– შემიძლია, მაგრამ მეცოდება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, რატომ ეძახიან პატარამკერდიან ქალებს ჯადოქრებს?

– რატომ?

– ხელებს მაღლა რომ სწევენ, ძუძუები უჩინარდება!

●●●

ტელეფონის ზარი. მამაკაცის ხმა კითხულობს:

– ალო, თუ შეიძლება, თეას თხოვეთ.

– სამშობიაროშია!

– და რა დაემართა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რეზო ჩხიკვიშვილი ახალ ფილმში გადაიღეს

მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი საქართველოში ახალ ფილმში მონაწილეობისთვის ჩამოვიდა.

რეჟისორმა ხათუნა ვაშაძემ ახალი ქართული მხატვრული ფილმის „უშმაკის სამოთხე“ გადაღებებზე სწორედ რეზო ჩხიკვიშვილი მიიწვია. მასთან ერთად ფილმში მონაწილეობენ ზურა ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი, მარიამ ჯოლოგუა, რომა რცხილაძე...

ფილმის გადაღებები უკვე დასრულებლია. ხათუნა ვაშაძის ახალ ნამუშევარს მაყურებელი უახლოეს მომავალში ნახავს.

ია ფარულავა: „ჩემი და ტარიელის დაშორების მიზეზი ვარ მე“

მსახიობმა ია ფარულავამ დუმილი დაარღვია და გიტარისტ ტარიელ სუართან დაშორების მიზეზზე მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

– ჩემი და ტარიელის დაშორების მიზეზი ვარ მე. 10-წლიანი ერთგულების მერე, მე მას ვუღალატე.

ია ფარულავამ განცხადებას მისი ყოფილი მეუღლე ტარიელ სუარიც მოკლე კომენტარით გამოეხმაურა:

– რაკი საჯაროდ აღიარა, ისე აღარ მძულს.

მაიკო კაჭკაჭიშვილი: „ხალხზე მწყდება გული“

კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი ქართულ შოუბიზნესში სიახლეების არარსებობით გაკვირვებულია და იმ ხალხზე წყდება გული, ვინც კვლავ გაცვეთილ კონცერტებზე დადის:

– მეოთხე წელია, სახლში ვარ და აქედან ვუსმენ „შოუბიზნესს“, არაფერი ახალი, ისევ ძველი „პლასტინკა“ ტრიალებს „ქოვერები“ ან ახალი სიმღერები, რომლებიც ისევ ძველებს ჰგავს.

რატომ არ ხარჯავთ ფულს, რომ ხარისხიანი მუსიკა გააკეთოთ? კონცერტებზე რაღატომ ითხოვთ ჰონორარს? მინდა ისევ აქტიურად ჩავება, მაგრამ ხალისი აღარ მაქვს.

ხალხზე მწყდება გული, რომ შეუძლიათ ისევ გაცვეთილ კონცერტებზე იარონ. არ ითხოვენ ახალ სიმღერებს, ალბომებს, კლიპებს, ძველიც აკმაყოფილებთ.

მაშინ, როცა „შოუბიზნესი ყვაოდა“, ნუ, რაც ერქვა, იმდენს ვმუშაობდი, მე, პირადად, სტუდიიდან სტუდიაში დავრბოდი, ზოგან ჩემს სიმღერას წერდნენ, ზოგან – სხვას ვუწერდი ბექვოკალს, დღე არ მყოფნიდა ხოლმე. ყველანი აზარტში ვიყავით და ჯანსაღ კონკურენციაში. ახლა, რა ხდება? შეიძლება, მე ვცდები, მაპატიეთ, მაგრამ წყალს რომ ვნაყავთ, ფაქტია.

პ.ს. ყველა მუსიკოსს არ ეხება ეს, რა თქმა უნდა!

ანა ჩუბინიძემ ჰოლანდიის დაფინანსება მოიპოვა

ანიმატორმა ანა ჩუბინიძემ თავისი ახალი ფილმისთვის „ლომის ახალი ფაფარი“ ჰოლანდიის დაფინანსება მოიპოვა:

– გადასარევი ამბავი გვაქვს ჰოლანდიიდან – დაფინანსება ჩემი ახალი ფილმისთვის „ლომის ახალი ფაფარი“! ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგულ სტუდიასთან ერთად, ჰოლანდიური სტუდია დაგვეხმარება ლამაზი თოჯინების შექმნაში.

„ლომის ახალი ფაფარი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნება ჩვენს საყვარელ „ჯიბის სტუდიაში“.

ბათუმი შავი ზღვის ჯაზ ფესტივალს უმასპინძლებს

28, 29 და 30 ივლისს ბათუმი რიგით მე-16 ჯაზ ფესტივალს უმასპინძლებს.

წელს ჯაზ ფესტივალის სტუმრები იქნებიან ბედფორდ ფოლსი, სოულ თრეინი, ლეგენდარული მარკუს მილერი და ბრუკლინ ფანკ ესენშელსი.

შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი 2023-ის წარმდგენია კომპანია „ისთერნ ფრომოუშენსი“. სამდღიან ფესტივალზე მისი ორგანიზატორები აჭარის რეგიონის სტუმრებს, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულ საღამოებს ჰპირდებიან. ფესტივალის სტუმრები მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები არიან.

წლევანდელ ფესტივალსა და მის სტუმრებს ბათუმში ახლად გახსნილი სივრცე „სთეიჯ 17“ უმასპინძლებს.

ფესტივალი 28 ივლისს ბედფორდ ფოლსის კონცერტით გაიხსნება და 30 ივლისს ბრუკლინ ფანკ ესენშელსის კონცერტით დაიხურება. ყოველი დღის ბოლოს ივერია ბიჩზე თიენემ ჯემ სეიშენები გაიმართება.

შავი ზღვის ჯაზ ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ფასი 100 ლარიდან იწყება.

ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ ფინალისტები დაასახელა

ლიტერატურული პრემია „საბა“ სექტემბერში წელს 21-ედ გაიმართება. წლევანდელ პრემიაზე გამომცემლებმა და ავტორებმა 230 წიგნი წარადგინეს და 7 ნომინაციაში ფინალისტების სიაც უკვე ცნობილი გახდა. „უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანის“ ნომინაციის ფინალისტები მოგვიანებით, აგვისტოში გასაჯაროვდება, ხოლო ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ გამარჯვებული, ტრადიციულად, უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიაზე გახდება ცნობილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. ხეხილის ბაღი; 12. პატარა კაფე გერმანიაში; 14. კუთხე საქართველოში; 18. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

თარაზულად: 4. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 5. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 13. უბანი თბილისში; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალასკას ადმინისტრაციული ცენტრი;. 17. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა